პრაქტიკის კვლევა

მოსწავლეებში დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარების ხელის შემშლელი მიზეზების დადგენა და გადაჭრის გზების ძიება

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალას საჯარო სკოლის ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებლის ლიანა მუკბანიანის

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

ქ. გარდაბანი

2018 წელი

სარჩევი

1.შესავალი..... 3

2.კვლევის აქტუალობა 4

3.კვლევის მიზნები და ამოცანები ----------5

4.პრაქტიკის კვლევის არსი 7

5.ლიტერატურის მიმოხილვა 8

6.კვლევის მეთოდები 21

7.კვლევის კითხვარები მოსწავლეებისათვის.....23

8.კვლევის კითხვარი მშობლებისთვის 25

9. მონაცემთა ანალიზი 27

10. .კვლვის შედეგები ----------28

11. დაგეგმილი ინტერვენციების აღწერა და ანალიზი ----------30

12. მიგნებები,რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები 37

13. დასკვნა 38

14. გამოყენებული ლიტერატურა 42

შესავალი

აღნიშნული კვლევის დაწყება განაპირობა იმ პრობლემების არსებობამ,რომელიც დავინახე ჩემს მე- 9 კლასში სწავლების პროცესში,კერძოდ, მოსწავლეები ვერ ფლობდნენ დამოუკიდებელად მუშაობის უნარებს, უჭირდათ დამოუკიდებლად ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლა. შესაბამისად პრაქტიკულ კვლევაზე მუშაობის პირველი ნაბიჯი იყო საკვლევი პრობლემის განსაზღვრა.

პრობლემის განსაზღვრის შემდეგ გადავწყვიტე შევხვედროდი სხვა საგნების პედაგოგებს , რათა დამედგინა რამდენად აქტუალური იყო იგივე-დამოუკიდებლად სწავლის უნარის ფლობა მათ საგნებში. გამოიკვეთა საერთო პრობლემები.

რადგან სხვა საგნებშიც იგივე პრობლემები გამოიკვეთა მოსწავლეებში დამოუკიდებლად სწავლებასთან დაკავშირებით, გადავწყვიტე ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამეტარებინა კვლევა.

ჩავთვალე, რომ ამ პრობლემის გადაჭრა არა მარტო ჩემს მოსწავლეებს დაეხმარებოდა დამოუკიდებლად სწავლის უნარის გაუმჯობესებაში ,არამედ სხვა მოსწავლეებსაც წაადგებოდათ .ხოლო კოლეგებს კი ნაცადი მეთოდების თამამად გამოყენების საშუალებას მისცემდა და პროფესიულ ზრდაში დაეხმარებოდა.

კვლევის აქტუალობა

სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების სახელმწიფო ენის არცოდნა,რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ , ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.ძალიან მნიშვნელოვანია თავისუფალი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩაბმასა და საკუთარი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

21-ე საუკუნეში, რომელიც ადამიანს მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებს(გამოწვევები განსაკუთრებით ბევრი და რთულად მოსაგვარებელია იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც არ იციან სახელმწიფო ენა) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წრაფი და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებისა და, რაც ყველაზე მთავარია, დამოუკიდებლად აზროვნებისა და მოქმედების უნარები.
დამოუკიდებელი სწავლა იმ უნარების ნაკრებს გულისხმობს, რომლებიც ადამიანს უფრო ავტონომიურს, გამბედავსა და თავდაჯერებულს ხდის. აქედან გამომდინარე, ამ უნარების განვითარება და ჩამოყალიბება თანამედროვე სკოლის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.
პედაგოგიურმა პრაქტიკამ დამანახა რომ მე-9 კლასელთათვის პრობლემას წარმოადგენს დამოუკიდებლად მუშაობის უნარი,სწორედ ამ პრობლემაზე, მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა და გადაჭრის გზების ძიებაზე არის ორიენტირებული ჩემი კვლევა.

პედაგოგებსა და კოლეგებს აღნიშნული საკითხის კვლევა ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში, იმ ხერხების მეთოდებისა და აქტივობების დაგეგმვაში, რომელიც მოიცავს დამოუკიდებლად მუშაობის ტექნიკის ფლობას. ეს კი ,თავის მხრივ, დაეხმარება კოლეგებს პროფეესიულ განვითარებაში, მოარგოს მოსწავლეთა და მის საჭიროებებს და დანერგოს საკუთარ პრაქტიკაში.

კვლევის მიზნები და ამოცანები

როდესაც შევარჩიე ჩემი პრაქტიკის საკვლევი თემა, დავსახე მიზნები,შევარჩიე კვლევის მეთოდი. მიზნების მიღწევისთვის დავგეგმე კონკრეტული აქტივობები და ღონისძიებები. ვთვლი, ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ კომპლექსური ღონისძიებებითა და მიდგომებითაა შესაძლებელი.

კვლევის მიზანია: მოსწავლეებში დამოუკიდებელად სწავლის ტექნიკის ფლობასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზების დადგენა,შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება,მიღებული შედეგების შეფასება.

საბაზო საფეხური სავალდებულო სწავლების დამამთავრებელი ციკლია: საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ მოსწავლეთა ერთი ნაწილი ტოვებს სკოლას და აქტიურ ცხოვრებაში ერთვება.ამ საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის მთავარი აღმზრდელობითი მიზანია მოსწავლეში მოქალაქეობრივი შეგნებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება (ტოლერანტობა, პირადი და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა,დამოუკიდებლობა, თვითგანვითარება, კრიტიკული აზროვნება).

- ზეპირი და წერითი კომუნიკაცია ქართულ ენაზე ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებში;
- კულტურული და სოციოკულტურული თავისებურებების გაანალიზება;
- ცოდნის დონის დამოუკიდებლად ამაღლება სხვადასხვა მიმართულებით.

ქართ. IX. 2. მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობ თემაზე სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ტექსტის გაგება.(ტელე-რადიოს საინფორმაციო/ შემეცნებითი გადაცემა, ინტერვიუ და სხვა).

ქართ. IX. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტის (სხვადასხვა სახის საგაზეთო პუბლიკაცია; სხვადასხვა თემაზე შექმნილი შემეცნებითი ტექსტი) გაგება.

ქართ. IX. 7 მოსწავლეს შეუძლია ადაპტირებული მხატვრული ტექსტის გაგება. .

ქართ. IX. 12. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის საქმიანი წერილის წერა.

ქართ. IX.14. მოსწავლეს შეუძლია ისეთი მხატვრული ტექსტის შექმნა, სადაც გამოავლენს პიროვნულ და შემოქმედებით დამოკიდებულებას.

განვიხილე მე-9 კლასის სტანდარტი და მისი შესაბამისი ინდიკატორები, რის მიხედვითაც შევადგინე კითხვარები ამავე კლასის მოსწავლეებისათვის და მშობლებისთვის

კვლევის ამოცანაა პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

1 . რატომ არის მნიშვნელოვანი დამოუკიდებლად სწავლების ტექნიკის ფლობა;

2 . როგორ და რა აქტივობები დაგვეხმარება ამ უნარ-ჩვევების გამომუშავებაში;

3.დაეხმარება თუ არა კვლევა მასწავლებლებს,გამოიყენონ პრაქტიკაში და

გააუმჯობესონ მოსწავლეებში დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები.

პრაქტიკული კვლევის არსი

კვლევის შედეგად სწორად დავსახო ის ამოცანები და აქტივობები,რომელიც დამეხმარება მიზნის მიღწევაში. გავითვალისწინო სხვათა იდეები,მოსაზრებები და დავნერგო საკუთარ პტაქტიკაში.დამოუკიდებლად სწავლის ტექნიკის ფლობასთან დაკავშირებით დეტალურად შევისწავლო არსებული სიტუაციის წამოშობის მიზეზები და მის შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეები და გამოვნახო პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები, რაც პედაგოგებს დაეხმარება ისეთი აქტივობების შემუშავებაში, რომელიც მოსწავლეებს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევებს. მასწავლებლებმა ვითანამშრომლოთ,ჩავრთო კვლევაში, გავუსწოროთ პრობლემას თვალი,ერთმანეთს გავუზიაროთ მოსაზრებები, მივიღოთ გადაწყვეტილებები, გავიაზროთ პასუხისმგებლობები და მივაღწიო სასურველ შედეგს.მიღებული ფორმა მოსახერხებელი იქნება მასწავლებლებისთვის და აგრეთვე რეალურად გააუმჯობესებს სწავლა - სწავლების პროცესის წარმართვას.

პედაგოგებსა და კოლეგებს აღნიშნული საკითხის კვლევა ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში, იმ ხერხების მეთოდებისა და აქტივობების დაგეგმვაში, რომელიც მოიცავს დამოუკიდებლად სწავლების ტექნიკის ფლობას. ეს კი, თავის მხრივ , დაეხმარება კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში, მოარგოს მოსწავლეთა და მის საჭიროებებს და დანერგოს საკუთარ პრაქტიკაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

ვიდრე კვლევას შევუდგებოდი , მოვიძიე დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარების შესახებ ლიტერატურა .წავიკითხე არაერთი მეთოდური სტატია თუ წერილი .გავიაზრე ამ უნარის მნიშვნელობა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში.

დამოუკიდებელი სწავლა იმ უნარების ნაკრებს გულისხმობს, რომლებიც ადამიანს უფრო ავტონომიურს, გამბედავსა და თავდაჯერებულს ხდის, არაქართველს კი ქართულ სოციუმთან ურთიერთობაში ეხმარება. აქედან გამომდინარე, ამ უნარების განვითარება და ჩამოყალიბება თანამედროვე სკოლის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი სწავლის მრავალი დეფინიცია არსებობს, ყველაზე გავრცელებულ განმარტებად მაინც“სწავლის თვითრეგულაცია”ითვლება. იგულისხმება, რომ ამ უნარებით აღჭურვილი მოსწავლეები:

·უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ განათლებაზე;

·ისახავენ მიზნებს;

·გეგმავენ ისეთ აქტივობებს, რომლებითაც შეიძლება დასახული მიზნების მიღწევა;

·გეგმის მიხედვით ახდენენ საკუთარი პროგრესის მონიტორინგს;

·აფასებენ შესრულებულ სამუშოს და რეფლექსიას ახდენენ მის ირგვლივ.

სტატია განიხილავს იმ ფაქტორებსა და სწავლება-სწავლის სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს დამოუკიდებელი სწავლის უნარების განვითარებასა და ჩამოყალიბებას.

დამოუკიდებელი სწავლის შინაგანი ფაქტორები**:**

შინაგან ფაქტორებში იგულისხმება მოსწავლეთა ის უნარები, რომლებიც აუცილებელია დამოუკიდებელ სწავლაში წარმატების მისაღწევად. ეს ისეთი ძირითადი უნარებია, რომელთა განვითარებასაც ყურადღება უნდა ექცეოდეს არამარტო ერთი კლასის, არამედ მთელი სკოლის ფარგლებში. ასეთი მიდგომა

კომპლექსურ ხასიათს უნდა ატარებდეს. ეს უნარებია: კოგნიტური, მეტაკოგნიტური და აფექტური.

·კოგნიტური უნარები უკავშირდება მოსწავლეთა მენტალურ შესაძლებლობებს, აზროვნების, შემეცნებისა და განსჯის უნარებს.

ინფორმაციის მოპოვება და გაგება; პრობლემების გადაჭრისთვის სტარატეგიების შერჩევა; მოცემული კრიტერიუმების მიხედვით ობიექტების კლასიფიცირება; ჰიპოთეზების ფორმირება; მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოძებნა დაა.შ. კოგნიტური უნარების მაგალითებს წარმოადგენენ.

·მეტაკოგნიტური უნარები უკავშირდება მოსწავლეთა შესაძლებლობას, მოახდინონ საკუთარი აზროვნების პროცესის რეფლექსია და შეფასება; სწავლის პროცესის თვითრეგულაცია; ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გაანალიზება, ადეკვატური პრიორიტეტების დასახვა და დროში განაწილება; მუშაობის დროს გამოყენებული სტარტეგიების ეფექტურობის განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა ან მოდიფიცირება დაა.შ.

აფექტური უნარები უკავშირდება მოსწავლეთა ემოციებს, გრძნობებსა და განწყობებს. მაგალითად, აფექტურ უნარებ განეკუთვნება: თვითმოტივაცია; საკუთარი საქციელის გაკონტროლება, რომელიც პიროვნების ფასეულობათა სისტემას ეფუძნება; პირადი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება გარკვეული მოვლენებისა თუ საკითხების მიმართ დაა.შ.

დამოუკიდებელი სწავლის გარე ფაქტორები:

შინაგანი ფაქტორების გარდა, მოსწავლეთა დამოუკიდებელი სწავლის უნარების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისეთი გარე ფაქტორები, როგორიცაა ფიზიკური გარემო და მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულება.

·ხელსაყრელი ფიზიკური გარემო სამ ძირითად ელემენტს ეფუძნება:

1.დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილი ან სპეციალურად მოწყობილი ფიზიკური სივრცე;

2.წინასწარ განსაზღვრული დრო, რომელიც საკმარისია დავალების შესასრულებლად;

3.ადეკვატურად შერჩეული საჭირო რესურსი (მაგ: ჟურნალები, წიგნები, საინფორმაციო ტექნოლოგიები დაა.შ.).

·მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულება:

სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ დამოუკიდებელი სწავლის უმთავრესი ფაქტორი მასწავლებლისა და მოსწავლის ნდობაზე დაფუძნებული, პოზიტიური ურთიერთობაა. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლმა უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეები სასწავლო პროცესში ხალისით ჩაერთვებიან და მისი ხელშეწყობით დამოუკიდებლად გააანალიზებენ, გადაჭრიან მათ წინაშე დასმულ ამოცანებს. მათ უნდა ჰქონდეთ თვითგამოხატვის საშუალება, არ უნდა ეშინოდეთ შეცდომების და შვებისა და საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის.

მასწავლებელი ასევე უნდა შეეცადოს, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ უზრუნველყოს მოსწავლეთა მიერ საკუთარ სწავლაზე პასუხიმგებლობის აღება, რაც პირდაპირ უკავშირდება დამოუკიდებელი სწავლის უნარების განვითარებას.

როგორ შეუწყოს ხელი მასწავლებელმა დამოუკიდებელ სწავლას?

როგორც აღინიშნა, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დამოუკიდებელი სწავლის უნარების განვითარებას განაპირობებს, მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა და მათი მხრიდან საკუთარ სწავლაზე უფრო მეტი პასუხისმგებლობის აღებაა. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე სტრატეგია, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს დამოუკიდებელი სწავლის უნარების განვითარებაში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სანამ მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესში კონკრეტული სტრატეგიების გამოყენებას მიმართავს, მანამდე აუცილებელია, დაადგინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები, დასახოს ადეკვატური მიზნები და შეარჩიოს რელევანტური საგანმანათლებლო რესურსი.

დამოუკიდებელი სწავლის უნარების განვითარებისთვის:

·მიეცით მოსწავლეებს თავისუფალი არჩევანის საშუალება, მაგ.: შეთავაზებული სამი შეკითხვიდან წერილობითი პასუხი მოამზადონ მათ მიერ შერჩეულ ერთ შეკითხვაზე;

·გაზარდეთ მოსწავლეთა პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვით;

·ჩართეთ ისინი სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, გაუზიარეთ მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები და მოისმინეთ მოსწავლეთა წინადადებები და მოსაზრებები, თუ როგორ შეიძლება მათი მიღწევა;

·წაახალისეთ მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე;

·უბიძგეთ მოსწავლეებს იმისკენ, რომ დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარი საჭიროებების იდენტიფიცირება და ადეკვატური გეგმის შემუშავება. შესაძლებელია გარკვეული სახის სქემების შეთავაზება დასაწყის ეტაპზე მათ შევსებაში დახმარება (იხ. სქემა 1);

·გამოყავით დრო შესრულებული სამუშაოს ირგვლივ რეფლექსიისა და მისი შეფასებისთვის;

·სთხოვეთ მოსწავლეებს, შერჩეული თემის ირგვლივ დასვან შეკითხვები, გამოთქვან ჰიპოთეზები, მიეცით გარკვეული დრო საკითხის შესასწავლად და განსახილველად;

·შეეცადეთ, რომ მიცემული დავალებები ეფუძნებოდეს რეალურ ცხოვრებას;

·დაუსვით მოსწავლეებს ღია შეკითხვები და მიეცით საკმარისი დრო დისკუსიისა და იდეების გაზიარებისთვის;

·დავალების დასრულების შემდეგ შესთავაზეთ მათ, წარმოადგინონ ის სხვა ფორმით (მაგ.: წერილობითი ნამუშევარი _ სქემით ან ნახატით);

·ხშირად მიმართეთ უკუკავშირის ტექნიკას;

·მიეცით საშუალება მოსწავლეებს, ისაუბრონ იმის შესახებ, თუ როგორ გაართვეს თავი დავალებას და რატექნიკას მიმართეს;

·აღჭურვეთ მოსწავლეები სწავლის სხვადასხვა სტრატეგიით და ასწავლეთ მათი გამოყენება;

·დააინტერესეთ ის მოსწავლეები შესასწავლი საკითხით და მისი დასრულება მიეცით საშინაო დავალებად;

·შესთავაზეთ მოსწავლეებს, გამოიყენონ ქვემოთ მოცემული სქემები (TASC – "thinking actively in a social context" by Belle Wallace), რომლებიც ხელს შეუწყობს მათ, დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარი სწავლის პროცესისა და მიღწეული შედეგების გააზრება (იხ .სექემა 2 და 3).

სასწავლო პროცესი, სადაც მასწავლებელი გზამკვლევის როლს ასრულებს და დავალებების შესრულებისთვის იყენებს ინსტრუქციულ ტექნიკას; პატივს სცემს მოსწავლეთა აზრს და რთავს მათ მიზნების დასახვისა და აქტივობების დაგეგმვის პროცესში; საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები; ქმნის კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნებისთვის ხელსაყრელ გარემოს, თავისთავად ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნების უნარების განვითარებასა და მოსწავლეთა მიერ მეტი პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ სწავლაზე.

სქემა 1.

რა მაქვს გასაუმჯობესებელი?	რა არის ჩემი ძლიერი მხარეები, რომლებიც დამეხმარება მის გაუმჯობესებაში?	როგორ გავაკეთებს ამას ?	როდის და რა თანმიმდევრობით გავაკეთებ ამას ?

სქემა 2.



სქემა 3.

ძირითადი ეტაპები:	დამხმარე შეკითხვები:
გამოცდილება	რა ვისწავლე? რა ახალი გამოცდილება შევიძინე ? რას ვფიქრობ და ვგრძნობ ახლა ? როგორ გამოვიყენებ იმას ,რაც ვისწავლე?
ორგანიზება	რა ინფორმაციას ვფლობ ამის შესახებ ? რა წყაროებიდან ვფლობ ამ ინფორმაციას? რა შეკითხვები მაქვს და რომელ მათგანზე შემიძლია პასუხის გაცემა ?
იდენტიფიცირება	რაში მდგომარეობს დავალების არსი? რა არის ჩემი მიზანი?

	რა ინფორმაცია უნდა ვიცოდე ამის შესახებ? რა არის საჭირო, რომ გავაკეთო?
გენერაცია	რამდენი მოსაზრება გამაჩნია ამის შესახებ? ვინ შეიძლება ,რომ დავიხმარო? რას ფიქრობენ სხვები ამის შესახებ? არსებობს თუ არა სხვა გზები?
გადაწყვეტა	რომელი იდეაა ყველაზე მნიშვნელოვანი? რომელი იდეაა საუკეთესო ? რა მოხდება ,თუ... როგორია ჩემი გეგმა? კიდევ რისი გაკეთება მჭირდება ?
დანერგვა	როგორ გავიგებ ჩემს პროგრესს? ვაკეთებ სწორად ? როგორ მუშაობს ჩემი გეგმა ? რა უნდა გავაკეთო ამის შემდეგ?
შეფასება	როგორ შევასრულე დავალება? რამდენად ეფექტურად მოვაგვარე პრობლემები? რამდენად ეფექტური სტრატეგიები შევარჩიე? რა გამომივიდა კარგად? რისი გაკეთება იქნებოდა უკეთესი?
კომუნიკაცია	ვის შეიძლება ვუთხრა ამის შესახებ? როგორ მოვახდინო მისი პრეზენტაცია? როგორ ავხსნა ეს? როგორ დავაინტერესო სხვები?

დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარების მნიშვნელობაზე ყველა თანხმდება. თუმცა არც ისე ფართოდაა გამოკვლეული, რა ზეგავლენას ახდენს დამოუკიდებლად სწავლის უნარების ადრეულ ასაკშივე განვითარება პიროვნების აკადემიურ თუ პროფესიულ წარმატებაზე.

სუზანქერი, ჰენრი მორსი და ელიზაბეთ მორსი ჰარვარდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პროფესორები არიან. ერთ-ერთი კვლევის საფუძველზე, მათ განაცხადეს, რომ დამოუკიდებლად სწავლის უნარები

გადამწყვეტ როლს თამაშობს ადრეულ ასაკში ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში აკადემიური წარმატების მიღწევაში.

დადგინდა, რომ ბავშვები, რომლებსაც 6-7 წლამდეკ არგად განვითარებული აქვთ დამოუკიდებლად სწავლის უნარები, უფრო მაღალ აკადემიურ მიღწევებს აჩვენებენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში; ისინი უფრო სწრაფად ახერხებენ ახლად შესწავლილი თეორიული საკითხების გააზრებას, გაცნობიერებას, თავიანთ გამოცდილებასთან დაკავშირებას და ცოდნისა თუ აღქმის მოდიფიცირებას. სუზანქერი სმოსაზრების თანახმად, ადამიანი დამოუკიდებლად სწავლის უნარს მუდმივად ივითარებს, ადრეულ ასაკში კი ამ უნარების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნული უნარები ტვინის წინა კორტექსით რეგულირდება, რომლის განვითარების პროცესი განსაკუთრებით აქტიურია დაბადებიდან 6-7 წლამდე. ისი ცუნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ადრეულ ასაკში სწავლება, თავის მხრივ, ხელსუწყობს დამოუკიდებლად სწავლის უნარების ეფექტურად გამოყენებას, კონკრეტულად კი _ ისეთი უნარების, როგორიცაა ინფორმაციის ორგანიზება, ფოკუსირება, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება, დაგეგმვა, თვითკონტროლი.

დამოუკიდებლად სწავლის უნარების კოლამდელი და სასკოლო სასწავლო პროგრამების მისაღწევ შედეგებს შორის გვხვდება, თუმცა სკოლამდელი თუ სასკოლო განათლების საფეხურზე არარსებობს კათედრა, რესურსები, პედაგოგი ან მენტორი, რომელიც პასუხისმგებელია სწავლის უნარის გამომუშავების ხელშეწყობაზე. სწორედ ამიტომ, დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარება მოსწავლეების ძალისხმევის ამარა რჩება.

ამ სტატიაში არ ვისაუბრებთ დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარების სტრატეგიებზე.თვითრეგულირებადი სწავლის თემაზე ჟურნალ“მასწავლებელში”უკვე დაიბეჭდა რამდენიმე სტატია. ამ წერილში გავაანალიზებთ იმ საჭიროებებს და ნაკლოვანებებს, რომელთა გადახედვა და

შეფასება შესაძლებელს გახდის დამოუკიდელი სწავლების უნარების დროულად და ეფექტურად განვითარებას.

და ვიწყოთ იმ გარემოებით, რომ დაწყებით იგანათლების სასწავლოპ როგრამებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებას გაცილებით ნაკლები დრო ეთმობა, ვიდრე ჰუმანიტარული საგნების სწავლებას, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო აგვიანებს დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარებას. ბოლოდროინდელი კვლევების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის ბავშვები, რომლებიც ადრეულ ასაკში ივითარებენ დამოუკიდებლად სწავლის უნარებს, უკეთ ახერხებენ თვითრეალიზაციას ზუსტ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებში, მეტი სიზუსტით და თავდაჯერებულობით ახერხებენ პროფესიული ინტერესების განსაზღვრას და შესაფერისი მიმართულების შერჩევას უმაღლესი განათლების საფეხურზე თუ პროფესიაში.

დამოუკიდებლად სწავლის უნარებში ორ ათეულზე მეტი კონკრეტული უნარი მოიაზრება, რომელთა გაერთიანება ოთხ ძირითად კატეგორიად შეიძლება:

- ინფორმაციის მიღება (ბეჭდვითი ან მულტიმედია საშუალებებით), დამუშავება და გამოყენება;
- კრიტიკული ანალიზი და რეფლექსია;
- სწავლის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება, დროის მართვა;
- ჯგუფური მუშაობა.

აღნიშნული უნარების განვითარების ხელშეწყობისთვის აუცილებელია, ვიცოდეთ, თუ რა გარემოებები ან მოვლენები აფერხებს მათ განვითარებას. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, თუ რა ფსიქო-სოციალური თუ სტრუქტურული ფაქტორებიშ ეიძლება ახდენდეს უარყოფით გავლენას აღნიშნული უნარების ჩამოყალიბებაზე. ამ ფაქტორებზე დაკვირვება შესაძლებლობას მისცემს მასწავლებლებს და მშობლებს, ადრეულე ტაპზე დაადგინონ პრობლემები და მეტი ყურადღება გაამახვილონ იმ ხელისშემწყობ ღონისძიებებზე, რომლებიც კონკრეტული პრობლემის დაძლევას/შემსუბუქებას უზრუნველყოფს.

ფსიქო-სოციალურ ფაქტორებს შორის გამოიყოფა ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი. ნეირო განვითარების დარღვევა, რაც განაპირობებს დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარებაში ჩამორჩენას, სოციალურ ფაქტორადაც იქცევა. მშობლებსა და მასწავლებლებს მეტწილად არ აქვთ სპეციალური განათლება ამ საკითხის შესახებ, რაც მათ ადეკვატურად რეაგირებაში დაეხმარებოდა. ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი აშშ-ის ბავშვებისა დამოზარდების (3-17 წლები) 9-11%-ს აღენიშნება. ნევროლოგთან მშობელთა მიმართვიანობის ნაკლებობის გამო ვარაუდობენ, რომ შესაძლოა ეს მაჩვენებელი უფრო მაღალიც იყოს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი ბიჭებში თითქმის სამჯერ უფრო მაღალია, ვიდრე გოგონებში (4.5% _ გოგონებში, 13.9% _ ბიჭებში). დარღვევა უშუალოდ უკავშირდება დამოუკიდებლად სწავლის უნარებს, რადგან ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებში ვლინდება უყურადღებობა, გაფანტულობა, დავალების შესრულებისას ხშირი შეცდომები, მარტივი მითითებების შეუსრულებლობა, კონცენტრაციის მოკლე ხნით შენარჩუნება, დაგეგმვის უუნარობა, მოჭარბებული მოტორული აქტივობა, იმპულსურობა, გაუაზრებელი მოქმედება, ლოდინის უნარის ნაკლებობა, განრიგის დაუმორჩილებლობა, მოსმენის უნარის დეფიციტი სირთულეები თანატოლებთან ურთიერთობებში.

სხვა ფსიქო-სოციალური გარემოებები, რომლებიც ასევე უარყოფით გავლენას ახდენს დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარებაზე, არის დაბალი თვითშეფასება, ეკონომიკური პრობლემები და სწავლისათვის საჭირო რესურსების ხელმიუწვდომლობა. ამ დროს ბავშვებში ვლინდება ისეთი ნიშნები, როგორიცაა ინფორმაციის დამახსოვრების პრობლემები, ინიციატივის უქონლობა, თხრობის უნარის განუვითარებლობა,დროის განსაზღვრის და დაგეგმვის უუნარობა.

დამოუკიდებლად სწავლის უნარების სტრუქტურულ ფაქტორებში იგულისხმება სასწავლო სისტემით და სწავლების პრაქტიკით განპირობებული გარემოებები,

რაც აფერხებს დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარებას. სტრუქტურულ გარემოებებს შორის რამდენიმე ძირითადს განვიხილავთ:

1. პირველი ასეთი გარემოება გახლავთ გაკვეთილის ფაზებს შორის გამოყენებითი ნაწილის ინტეგრირებასა და ეფექტურად განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეები. ეს , გარკვეულწილად, გაკვეთილის ხანმოკლე დროითა და მისაწოდებელი მასალის დიდი მოცულობითაა განპირობებული. დამოუკიდებლად სწავლის უნარს უმთავრესად გაკვეთილის გამოყენებით ნაწილში განხორციელებული აქტივობები უწყობს ხელს. აღნიშნული სირთულის და ძლევისთვის სასურველია სასწავლო პროექტების აქტიურად გამოყენება, რათა მოსწავლეებს კლასის გარეთ მიეცეთ ამ უნარების ზრდის შესაძლებლობა.

2. შემდეგ გარემოებად დავასახელებთ ინდივიდუალურ აქტივობასთან დაკავშირებულ სირთულეებს. მასწავლებლისთვის რთულია, ხანმოკლე გაკვეთილის განმავლობაში ყველა ტიპის მოსწავლეს მისცეს შესაძლებლობა და საჭირო დრო ჩართულობისთვის. საქმე განსაკუთრებით რთულდება, როცა კლასი მრავალრიცხოვანია და სხვადასხვა ცოდნისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს აერთიანებს. ამ შემთხვევაში, მოსწავლის ინდივიდუალური პორტფოლიო ხელს შეუწყობს განათლების ინდივიდუალურად დაგეგმვასა და წარმართვას (იხილეთ http://mastsavlebeli.ge/uploads/portfolio/sofo_lobJaniZe_1.pdf).

3. კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ჩვენს სკოლებში აღინიშნება, გრძელვადიანი სასწავლო ჯგუფების პრაქტიკის ნაკლებობაა. გრძელვადიან სასწავლო ჯგუფებში მოსწავლეები გამოიმუშავებენ არამხოლოდ ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს, არამედ როლების განსაზღვრის და განაწილების უნარს. სხვადასხვა ქვეყანაში გრძელვადიან სასწავლო ჯგუფებს ორგანიზაციული დავალებების და მასწავლებლის ასისტენტის როლის შესრულება უწევთ, რაც, თავის მხრივ, ავითარებს დამოუკიდებლად სწავლის უნარებს (იხილეთრესურსიინგლისურენაზე: http://www.co-operation.org/home/introduction-to-cooperative-learning/).

4. შემდეგი გარემოება შესაძლოა არა მხოლოდ სტრუქტურული ნაკლოვანებით, არამედ სხვადასხვა ფაქტორით იყოს განპირობებული. ტექნოლოგიების არამიზნობრივად გამოყენება მნიშვნელოვნად აფერხებს მოსწავლის რეფლექსიისა და დროის მართვის უნარ-ჩვევების განვითარება-გამოყენებას. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონებავშვებში განსაკუთრებით დიდი ატექნოლოგიების არამიზნობრივად გამოყენების საფრთხე. მაგალითად, კომპიუტერთან მუშაობისას ისინი აღარავლენენ ისეთ სიმპტომებს, როგორიცაა იმპულსურობა, დაუფიქრებელი მოძრაობები, გაუჩერებლად საუბარი. ასევე, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მათი კონცენტრაციის უნარიც გაუმჯობესდა, ვინაიდან ტექნოლოგიებთან მძაფრი მიჯაჭვულობა უვითარდებათ. საქმე ისაა, რომ ტექნოლოგიების ხშირიდ აარამიზნობრივი გამოყენების შემდეგ ისინი რეალურ კონტექსტში ორჯერ უფრო მძაფრად ავლენენ ჩვეულ სიმპტომებს (იხილეთ საგანმანათლებლო მულტიმედი არესურსები ტექნოლოგიების მიზნობრივად გამოყენების წასახალისებლად http://www.mangrum-strichart.com/products/product-detail.asp?pid=AE34F4E715E4 თამაში ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა დადებითი აზროვნება, მოტივაცია, ორგანიზაციული უნარები, დამახსოვრება, კონცენტრაცია, მიზნების და სახვა).

5.

აღსანიშნავია დამოუკიდებელი სწავლის უნარების შეფასების ინსტრუმენტების არ არსებობა. დამოუკიდებლად სწავლის უნარების შეფასება და შედეგების გათვალისწინება ხელს უწყობს აკადემიური შედეგების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას. აშშ-ის სკოლებსა და უნივერსიტეტებში დამოუკიდებლად სწავლი უნარების თვითშეფასების მეთოდი ფართოდ გამოიყენება. შეფასების ფორმები კომპლექსურია ან კონკრეტულ სწავლი უნარზეა ფოკუსირებული. შეფასების ინსტრუმენტებისა და მოდელების შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვება შემდეგი ვებგვერდების მეშვეობით შეგიძლიათ:

http://www.how-to-study.com/assessments/ _ აშშ-ის მიჩიგანისა და ინდიანის უნივერსიტეტების პროფესორების, ჩარლზ მანგრუმისა და სტივენს ტიხარტის მიერ შექმნილი სწავლის საგანმანათლებლო რესურსების ონლაინ-პორტალი.

http://www.educationplanner.org/students/self-assessments/improving-study-habits.shtml _ გვთავაზობს რუბრიკას სწავლის უნარების გაუმჯობესებისთვის.

http://www.schoolfamily.com/school-family-articles/article/836-learning-styles-quiz _ მშობლებს სთავაზობს მცირეწლოვანი ბავშვების სწავლის სტილის შეფასების მოკლე ტესტს.

დამოუკიდებლად სწავლის უნარების ინტეგრირებას წავლების პროცესში რთულია, რადგან არ არსებობს შესაბამისი კურიკულუმი, ადამიანური რესურსი, საგანმანათლებლო მასალები და სახელმძღვანელოები მასწავლებელთათვის დამ შობელთათვის (კურიკულუმის და სახელმძღვანელოების მაგალითისთვის ეწვიეთ შემდეგვებ გვერდს: http://www.how-to-study.com/study-skills-products.asp).

არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, სასურველია, მასწავლებლებმა და მშობლებმა დიდი ყურადღება დაუთმონ დამოუკიდებლად სწავლის უნარების ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე საუბარს; ასევე, მიაწოდონ მოსწავლეებს ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რომელი უნარები დაეხმარებამათ, გახდნენ დამოუკიდებლი შემსწავლელები; დაეხმარონ მოსწავლეებს ამ ტიპის უნარების შეფასებაში, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენაში. აღნიშნულის მისაღწევად, ცხადია, სასურველია, ადგილობრივად შემუშავდეს ან ითარგმნოს და გავრცელდეს უკვე არსებული კურიკულუმის და სასწავლო რესურსების ნიმუშები და მოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარებისთვის (მაგალითისთვისიხილეთ: http://www.how-to-study.com/study-skills-products.asp).

ლიტერატურაში მეთოდების გამოყენების ინსტრუქციების გაცნობამ გამიიოლა მათი კლას\სი გადატანა და ეფექტურად განხორციელება .

კვლევის მეთოდის შერჩევა

კვლევისთვის გადავწყვიტე გამომეყენებინა რაოდენობრივი მეთოდი-**ზეპირი გამოკითხვა** მე-9 კლასის მოსწავლეებისათვის და ასევე მშობლებისთვის. კვლევის ეს მეთოდი ავირჩიე იმიტომ,რომ მინდოდა მოკლე დროში გამეგო მოსწავლეთა საჭიროებები დაშესაძლებლობები, რათა შემდგომი მუშაობა წარმემართა მოსწავლეთა შესაბამისად, აგრეთვე მეტი შესაძლებლობა მქონდა განსაკუთრებული აქცენტები გამეკეთებინა ზოგიერთ კითხვაზე, მოსწავლეს შეუძლია მოითხოვოს კითხვის განმარტება მეტი სიზუსტისათვის,პასუხებით პირდაპირ ირკვევა ცოდნის დონე. ზეპირი გამოკითხვა კვლევის წარმოების სწრაფი ხერხია. ამ გამოკითხვას თავისებური ხარვეზიც აქვს,რადგან მოსწავლეს უჭირს სავარაუდო პასუხების დამახსოვრება და შესაბამისად მისი პასუხები შეიძლება ზუსტი არ იყოს.

ზეპირი გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა,რომ 29 მოსწავლიდან დამოუკიდებლად სწავლა მოსწონდა 10 მოსწავლეს.

გადავწყვიტე გავცნობოდიმე-9 კლასის სტანდარტს და მასზე დაყრდნობით შევადგინე კითხვარები და ჩავატარე **წერილობითი გამოკითხვა**-ანკეტირება. შევადგინე სხვადასხვა ტიპის ანკეტები,რომელიც მოიცავდა,როგორც დახურულ კითხვებს(როდესაც კითხვას თან ახლავს პასუხების შესაძლო ვარიანტი), ამავე დროს ღია კითხვებსაც (როდესაც არ სთავაზობ რესპოდენტს პასუხის შესაძლო ვარიანტს). მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარები იყო ანონიმური,რათა რესპოდენტები ყოფილიყვნენ გულწრფელნი და მათ მიერ გაცემული პასუხები კი- ზუსტი და სანდოა. კითხვარები შევიტანე კლასში (მე-9კლ) გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 29-მა მოსწავლემ .ეს მეთოდი შევარჩიე იმიტომ,რომ გამოკითხვა სწრაფი მეთოდია ბევრი ადამიანის გამოსაკითხად, აგრეთვე ამ მეთოდით მოვიპოვე ზოგადი ინფორმაცია სხვადასხვა მიმართულებით(თეორიული და პრაქტიკული).ეს მეთოდი საუკეთესოა მაშინაც, როდესაც ბევრ კითხვაზეა პასუხი გასაცემი და მონაცემთა შეგროვება,გაანალიზება და თავმოყრა იოლია. უარყოფითად შეიძლება ჩაითვალოს,ის

რომ მოსწავლეებს აქვთ თანამშრომლობისა და აზრთა გაზიარების საშუალება,რამაც შესაძლოა ობიექტურობის ხარისხი შეამციროს.

კვლევის ვდები: საკვლევ პერიოდად განვსაზღვრე 2017 წლის ოქტომბერი- 2018 წლის აპრილი.

კვლევის კითხვარები მოსწავლეთათვის

დრო 10 წუთი

I. დამოუკიდებლად დავალებების შესრულება

1.რა ტიპის დავალების შესრულება მოგწონთ?(შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

ა) როცა მუშაობ ჯგუფში(ჯგუფური მუშაობა)

ბ) როცა მუშაობ მეწყვილესთან ერთად;

გ) როცა დამოუკიდებლად მუშაობ.

2) სახლში მიცემულ სამუშაოს როგორ ასრულებ?

ა) დამოუკიდებლად;

ბ) მშობლები მეხმარებიან;

გ) რეპეტიტორთან დავდივარ.

3) დავალების შესრულება როდის გიადვილდებათ ?

ა) როცა წერითი სამუშაო გაქვთ შესასრულებელი;

ბ) როცა ინფორმაცია გაქვთ მოსაძიებელი;

გ) როცა უნდა გადმოსცეთ წაკითხული?

4) როდის გიჭრთ მოცემული სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულება?

ა) თუ არაა საკმარისი ინსტრუქცია;

ბ) თუ არ ვარ ყურადღებით;

გ) თუ საკითხის ირგვლივ არ ვფლობ ინფორმაციას.

5. ჩამოწერეთ თქვენი საყვარელი აქტივობები:----------

კვლევის კითხვარები მშობლებისთვის

1. ეხმარებით თუ არა შვილს დავალებების შესრულებაში?

   ა) დიახ, ყოველთვის ბ) არა გ) იშვიათად

2. რომელი დავალების შესრულება მოსწონს ყველაზე მეტად?

   _____

   _____

3. დადაის თუ არა რეპეტიტორთან?

   1)კი 2)იშვიათად 3) არა

4. რას ფიქრობთ რა არის მიზეზი იმისა, რომ დამოუკიდებლად სწავლას ვერ ახერხებს?

   ა) უყურადღებოა ;

   ბ)არ აქვს შესაბამისი ცოდნა ;

   გ) ეშინია შეცდომები არ დაუშვას;

5. რომელ სამუშაოს ასრულებს დახმარების გარეშე?

ა) უყვარს წერა და წერს დამოუკიდებლად;

ბ) უყვარს კითხვა და კითხულობს დამოუკიდებლად;

გ) ყელაფერს დამოუკიდებლად ასრულებს;

დ) ყველაფერს რეპეტოტორათან ერთად აკეთებს.

მონაცემთა ანალიზი

მე-9 კლასში ზეპირმა გამოკითხვამ ცხადყო,რომ 29 მოსწავლიდან 65,5% ვერ ახეხებს დამოუკიდებლად შეასრულოს დავალება. მიზეზის დასადგენად მონაცემთა წერილობითი გამოკითხვის ანალიზმა (მე-9 კლ მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარები) აჩვენა, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ , მაგრამ წერით დავალებეს მშობელთა ან რეპეტიტორთა დახმარებით ასრულებდნენ. (იხ. ცხრილი 1)საჭიროდ ჩავთვალეთ ისეთ აქტივობები გამოგვეყებინა სწავლების პროცესში,რომელის ითვალისწინებს დამოუკიდებლად მუშაობის ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნებას. მასწავლებლებმა სწავლების პროცესში უნდა გამოვიყენოთ თამაშები, სავარჯიშოები, კითხვები,რაც მოსწავლეებს გამოუმუშავებს დამოუკიდებლი მუშაობის უნარ-ჩვევებს. საჭიროდ და აუცილებელად მიგვაჩნია ჩვენს პრაქტიკაში დავნერგოთ ისეთი აქტივობები,რომელიც მიმართული იქნება დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევების ფლობასთან.

ზეპირი გამოკითხვის შედეგად,რომელშიც მონაწილეობა მიიღო მე-9 კლასის მოსწავლემ, გამოვლინდა,რომ 29 მოსწავლიდან -19 მოსწავლემ- ე.ი 65,5% ვერ აჩვენა დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები.

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები

(გამოიკითხა 29 მოსწავლე)



გამოიკითხა 29 მშობელი



მეორადი გამოკითხვა (**ზეპირი გამოკითხვა) აპრილის დასაწყისში** განვარხოციელე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მე-9 კლასის ისევ 29 მოსწავლემ- გამოვლინდა, რომ 29 მოსწავლიდან -15 მოსწავლემ - ვერ აჩვენა დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები, თუმცა 14 მოსწავლე დაეუფლა დამოუკიდებლად სწავლის ტექნიკას.

ინტერვენციების აღწერა და ანალიზი

მონაცემთა ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით გავაანალიზე აღნიშნული მონაცემები, საჭიროდ მივიჩნიე დაგვეგეგმა შემდეგი ინტერვენციები:

- ღრმად და საფუძვლიანად გავცნობოდი დამოუკიდებლად სწავლების მნიშვნელობას.
- ღრმად და საფუძვლიანად გავცნობოდი ე.ს.გ-ის სტარდანტებსა და ინდიკატორებს, მომერგო მათზე აქტივობები,რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეებს გამოუმუშავოს დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები.
- დავგეგმო გაკვეთილები იმ აქტივობის გამოყენებით,რომელშიც ადგილი დაეთმობა დამოუკიდებლად სწავლებას .
- მშობლებთან თანამშრომლობა
- კოლეგებთან გაზიარება.

გავეცანი და კიდევ ერთხელ ჩავუღრმავდი **დამოუკიდებლად სწავლების სტრატეგიის მნიშვნელობას**, რომ დამოუკიდებლად სწავლის უნარების ადრეულ ასაკშივე განვითარება პიროვნების აკადემიურ თუ პროფესიულ წარმატებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს. ბავშვებს, რომლებსაც კარგად განვითარებული აქვთ დამოუკიდებლად სწავლის უნარები, უფრო მაღალაკადემიურ მიღწევებს აჩვენებენ ის ბავშვები, რომლებიც ადრეულ ასაკში ივითარებენ დამოუკიდებლად სწავლის უნარებს, უკეთ ახერხებენ თვითრეალიზაციას.

დამოუკიდებლად სწავლის უნარებში ორ ათეულზე მეტი კონკრეტული უნარი მოიაზრება, რომელთა გაერთიანება ოთხ ძირითად კატეგორიად შეიძლება:

- ინფორმაციის მიღება (ბეჭდვითი ან მულტი მედია საშუალებებით), დამუშავება და გამოყენება;
- კრიტიკული ანალიზი და რეფლექსია;
- სწავლის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება, დროის მართვა;

- ჯგუფური მუშაობა.

აღნიშნული უნარების განვითარების ხელშეწყობისთვის აუცილებელია, ვიცოდეთ, თუ რა გარემოებები ან მოვლენები აფერხებს მათ განვითარებას. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, თუ რა ფსიქო-სოციალური თუ სტრუქტურული ფაქტორები შეიძლება ახდენდეს უარყოფით გავლენას აღნიშნული უნარების ჩამოყალიბებაზე. ამ ფაქტორებზე დაკვირვება შესაძლებლობას მისცემს მასწავლებლებს და მშობლებს, ადრეულე ტაპზე დაადგინონ პრობლემები და მეტი ყურადღება გაამახვილონ იმ ხელისშემწყობ ღონისძიებებზე, რომლებიც კონკრეტული პრობლემის დაძლევა- შემსუბუქებას უზრუნველყოფს.

დამოუკიდებლად სწავლის უნარების ინტეგრირებას წავლების პროცესში რთულია, რადგან არ არსებობს შესაბამისი კურიკულუმი, ადამიანური რესურსი, საგანმანათლებლო მასალები და სახელმძღვანელოები მასწავლებელთათვის და მშობელთათვის.

არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, სასურველია, მასწავლებლებმა და მშობლებმა დიდი ყურადღება დაუთმონ დამოუკიდებლად სწავლის უნარების ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე საუბარს; ასევე, მიაწოდონ ოსწავლეებს ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რომელი უნარები დაეხმარებამათ, გახდნენ დამოუკიდებლი შემსწავლელები; დაეხმარონ მოსწავლეებს ამ ტიპის უნარების შეფასებაში, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენაში.

ღრმად და საფუძვლიანად **ჩავუღრმავდი ე.ს.გ-ის სტარდანტებსა და ინდიკატორებს,**

ე.ს.გ-ის სტანდანტებსა და ინდიკატორებს საფუძვლიანად გაცნობამ საშუალება მომცა თითოეულ შედეგზე,რომელიც ეხება დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, დამეგეგმა გაკვეთილები შესაბამისი აქტივობების გამოყენებით.

გადავწყვიტე თეორიული მასალის ახსნასთან ერთად,მოსწავლეები პარალელურად ვამუშაო კითხვარზე ,მოსწავლეებმა თავად განსაზღვრონ რას და როგორ შეძლებენ დამოუკიდებლად,

როგორ შევასრულე დავალება?

რამდენად ეფექტურად მოვაგვარე პრობლემები?

რამდენად ეფექტურის ტრატეგიები მქონდა შერჩეული?

რა გამომივიდა კარგად?

რისი გაკეთება იქნებოდა უკეთესი?
რა გამოუვიდათ კარგად,ჩემ მიერ გადაცემული ინფორმაციის საფუძველზე?

დავეხმარო ცოდნის კონსტრუირებაში/აგებაში - მოსწავლეებმა არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით ააგონ ახალი ცოდნა. მე გაკვეთილზე მხოლოდ ფასილიტატორის როლი შევასრულო.

ქართ. IX. 2. მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობ თემაზე სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ტექსტის გაგება.(ტელე-რადიოს საინფორმაციო/ შემეცნებითი გადაცემა, ინტერვიუ და სხვა).

ქართ. IX. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტის (სხვადასხვა სახის საგაზეთო პუბლიკაცია; სხვადასხვა თემაზე შექმნილი შემეცნებითი ტექსტი) გაგება.

ქართ. IX. 7 მოსწავლეს შეუძლია ადაპტირებული მხატვრული ტექსტის გაგება. .

ქართ. IX. 12. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის საქმიანი წერილის წერა.

ქართ. IX.14. მოსწავლეს შეუძლია ისეთი მხატვრული ტექსტის შექმნა, სადაც გამოავლენს პიროვნულ და შემოქმედებით დამოკიდებულებას.

განვიხილე მე-9 კლასის სტანდარტი და მისი შესაბამისი ინდიკატორები, რის მიხედვითაც შევადგინე კითხვარები ამავე კლასის მოსწავლეებისათვის და მშობლებისთვის

ეს არის სტანდარტის ნაწილი,რომლის კომპეტენციები გამჭოლიამთელი სასწავლო წლის განმავლობაშიდა კარგად ავითარებს კოგნიტურ,აფექტურ და მეტაკოგნიტურ უნარებს.

გამოვიკვლიე მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესის სფერო, დავსახე ადეკვატურიმიზნებიდაშევარჩიე
რელევანტურისაგანმანათლებლორესურსი. ამათუიმ თემის მიზნის გაცნობისას ვთხოვდი მოსწავლეებს გამოეთქვათ მოსაზრებები, როგორ შევძლებდით ამ მიზნის მიღწევას. აქტიურად ვრთადი მოსწავლეებს ამ პროცესში და ვაძლევდი მათ არჩევანის უფლებას.

ამ სტანდარტსა და მის შესაბამის შედეგზე რომ გავსულიყავი ვცდილობდი ისე დამეგემა სასწავლო პროცესი, სადაც მასწავლებელი გზამკვლევის როლს ასრულებს და დავალებების შესრულებისთვის იყენებს ინსტრუქციულ ტექნიკას; პატივს სცემს მოსწავლეთა აზრს და რთავს მათ მიზნების დასახვისა და აქტივობების დაგეგმვის პროცესში; საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები; ქმნის კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნებისთვის ხელსაყრელ გარემოს, რაც თავისთავად ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნების უნარების განვითარებასა და მოსწავლეთა მიერ მეტი პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ სწავლაზე.

თითოეულ მოსწავლეს ვურიგებდი ქვემოთ მოცემულ სქემებს, რაც დაეხმარა მათ , გაეწიათ მონიტორინგი საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ. ასევე დამეხმარა მეც დამეგემა გაკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.

რა მაქვს გასაუმჯობესებელი?	რა არის ჩემი ძლიერი მხარეები, რომლებიც დამეხმარება მის გაუმჯობესებაში?	როგორ გავაკეთებს ამას ?	როდის და რა თანმიმდევრობით გავაკეთებ ამას ?

გამოვიყენეთ ცხრილი:

ძირითადი ეტაპები:	დამხმარე შეკითხვები:
გამოცდილება	რა ვისწავლე? რა ახალი გამოცდილება შევიძინე ? რას ვფიქრობ და ვგრძნობ ახლა ? როგორ გამოვიყენებ იმას ,რაც ვისწავლე?
ორგანიზება	რა ინფორმაციას ვფლობ ამის შესახებ ? რა წყაროებიდან ვფლობ ამ ინფორმაციას? რა შეკითხვები მაქვს და რომელ მათგანზე შემიძლია პასუხის გაცემა ?
იდენტიფიცირება	რაში მდგომარეობს დავალების არსი? რა არის ჩემი მიზანი? რა ინფორმაცია უნდა ვიცოდე ამის შესახებ? რა არის საჭირო, რომ გავაკეთო?
გენერაცია	რამდენი მოსაზრება გამაჩნია ამის შესახებ? ვინ შეიძლება ,რომ დავიხმარო? რას ფიქრობენ სხვები ამის შესახებ? არსებობს თუ არა სხვა გზები?
გადაწყვეტა	რომელი იდეაა ყველაზე მნიშვნელოვანი? რომელი იდეაა საუკეთესო ? რა მოხდება ,თუ...

	როგორია ჩემი გეგმა? კიდევ რისი გაკეთება მჭირდება ?
დანერგვა	როგორ გავიგებ ჩემს პროგრესს? ვაკეთებ სწორად ? როგორ მუშაობს ჩემი გეგმა ? რა უნდა გავაკეთო ამის შემდეგ?
შეფასება	როგორ შევასრულე დავალება? რამდენად ეფექტურად მოვაგვარე პრობლემები? რამდენად ეფექტური სტრატეგიები შევარჩიე? რა გამომივიდა კარგად? რისი გაკეთება იქნებოდა უკეთესი?
კომუნიკაცია	ვის შეიძლება ვუთხრა ამის შესახებ? როგორ მოვახდინო მისი პრეზენტაცია? როგორ ავხსნა ეს? როგორ დავაინტერესო სხვები?

ამ ცხრილების დახმარებით, დამოუკიდებლად სწავლებისას,მოსწავლეები აკვირდებოდნენ სწავლის პროცესს, რამაც ხელი შეუწყო დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარებას,მე კი დამეხმარა შემექმნა ისეთი სასწავლო პროცესი, სადაც მასწავლებელი გზამკვლევის როლს ასრულებს და დავალებების შესრულებისთვის იყენებს ინსტრუქციულ ტექნიკას; პატივს სცემს მოსწავლეთა აზრს და რთავს მათ მიზნების დასახვისა და აქტივობების დაგეგმვის პროცესში; საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები; ქმნის კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნებისთვის ხელსაყრელ გარემოს, განვავითარო მოსწავლეებში შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარები.

აღნიშნულმა მეთოდმა მოსწავლეებს განუვითარა ისეთი უნარ-ჩვევები, როგორიცაა დამოუკიდებლობა, კოგნიტური, მეტაკოგნიტური უნარები, შემოქმედებითობა, დაკვირვება, შედარება,კლასიფიკაცია,ინტერპრეტაცია, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება და რაც მთავარია მოსწავლეებმა მოახდინონ საკუთარი აზროვნების პოროცესის რეფლექსია, სასწავლო პროცესში თვითრეგულაცია და მოახდინოს სამუშაოს შეაფასება რა როგორ გააკეთა .

მომავალში მოსწავლეებში აღნიშნული უნარების განვითარებისა და ჩამოყალიბებისთვის კიდევ ბევრი და საჭირო აქტივობის დაგეგმვას ვაპირებ, რომ მოსწავლეებმა მიაღწიონ ე.ს.გ. მიზნებს.

მიგნებები,რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები

ჩემ მიერ ჩარატებულმა კვლევამ მოსწავლეებს განუვითარა ისეთი უნარ-ჩვევები, როგორიცაა დამოუკიდებლობა, შემოქმედებითობა, დაკვირვება, შედარება,კლასიფიკაცია, ინტერპრეტაცია, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებადა რაც მთავარია მოსწავლეებმა გამოიმუშავეს საკუთარი აზროვნების რეფლექსიის უნარი.

მშობლებთან თანამშრომლობა დაეხმარება წარმატებების ერთობლივი ძალისხმევით მიღწევაში.გავიაზრეთ,რომ ჩვენი მთავარი მიზანი არის მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება, დაგეგმილმა აქტივობებმა გააუმჯობესა მოსწავლეთა შედეგები.

მომავალი სასწავლო წლიდან გავითავისებ კვლევის შედეგებს და გავეთილებს დავგეგმავ არსებული სტანდარტისა და ინდიკატორების შესაბამისობით, გამოვიყენებ ისეთ აქტივობებსა და მეთოდებს,რომელიც ხელს შეუწყობს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევების დაუფლებასა და გამომუშავებას, მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე.

მომავალში მოსწავლეებში აღნიშნული უნარების განვითარებისა და ჩამოყალიბებისთვის კიდევ ბევრი და საჭირო აქტივობის დაგეგმვას ვაპირებ, რომ მოსწავლეებმა მიაღწიონ ე.ს.გ. მიზნებს.

კვლევის პროცესის დროს გამოიკვეთა სირთულეებიც,რომელიც უკავშირდებოდა დროის სიმცირეს,რესურსებისა და ამ მიმართულებით ლიტერატურის ნაკლებობას. კვლევის დაგეგმვასთან დაკავშირებით საჭირო და აუცილებელია ტრენინგების გავლა,რადგანაც კვლევის დაგეგმვასთაან დაკავშირებულმა საკითხების პუნქტობრივად და დამოუკიდებლად განხილვამ ბევრი დრო და ენერგია მოითხოვა.

დასკვნა

პრაქტიკის კვლევამ დამანახა როგორც ჩემი, ასევე მოსწავლეთა საჭიროებები, სწორედ მოსწავლეთა საჭიროებებზე დაყრდნობით დავგეგმე ის მეთოდები და აქტივოვბები,რომ საბაზო საფეხურზე კვლავ პრობლემას წარმოადგენს, დამოუკიდებლად სწავლება. სწორედ ამ პრობლემაზე დაყრდნობით ,,მოსწავლეებში დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარება, მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა და გადაჭრის გზების ძიება“ შევიმუშავე კვლევა.

კვლევისთვის გადავწყვიტე გამომეყენებინა რაოდენობრივი მეთოდი-ზეპირი გამოკითხვა,რაც ძირითადად შეეხება დამოუკიდებლად მუშაობას.კვლევის ეს მეთოდი ავირჩიე იმიტომ,რომ მინდოდა მოკლე დროში გამეგო მოსწავლეთა შესაძლებლობანი, რათა შემდგომი მუშაობა წარმემართა მოსწავლეთა ცოდნის შესაბამისად, აგრეთვე მეტი შესაძლებლობა მქონდა განსაკუთრებული აქცენტები გამეკეთებინა ზოგიერთ კითხვაზე, მოსწავლეს შეუძლია მოითხოვოს კითხვის განმარტება მეტი სიზუსტისათვის,პასუხებით პირდაპირ ირკვევა რას როგორ აკეთებს დამმოუკიდებლად, რისი გაკეთება უჭირს. ზეპირი გამოკითხვა კვლევის წარმოების სწრაფი ხერხია. ამ გამოკითხვას თავისებური ხარვეზიც აქვს,რადგან მოსწავლეს უჭირს სავარაუდო პასუხების დამახსოვრება და შესაბამისად მისი პასუხები შეიძლება ზუსტი არ იყოს. ზეპირი გამოოკითხვის შედეგად გამოვლინდა,რომ 29 მოსწავლიდან (მე-9კლასი) დამოუკიდებლად მუშაობა აჩვენა 14 მოსწავლემ 15-მა კი ვერ აჩვენა ის შედეგი,რომელც გაწერილია ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტში. (მე-9 კლ.)

მონაცემთა ანალიზმა (მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარები) აჩვენა, რომ მშობლები ხშირი ინტენსივობით ახორციელებდნენ დახმარებას სწავლების პროცესში, რაც იწვევდა დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების დაქვეითებას. საჭიროდ ჩავთვალეთ ისეთი აქტივობები გამოგვეყენებინა სწავლების პროცესში,რომელიც ითვალისწინებს დამოუკიდებლად სწავლების სტრატეგიებს მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების გამოვლენას, რელევანტური საგანმანათლებლო რესურსის შექმნას. მასწავლებლებმა სწავლების პროცესში უნდაგამოვიყენოთ

თამაშები, სავარჯიშოები, კითხვები,რაც მოსწავლეებს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლების უნარ-ჩვევებს. საჭიროდ და აუცილებელად მიგვაჩნია ჩვენს პრაქტიკაში დავნერგოთ ისეთი აქტივობები,რომელიც მიმართული იქნება დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევების ფლობასთან.

მონაცემთა ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით გავაანალიზე აღნიშნული მონაცემები, საჭიროდ მივიჩნიე დაგვეგეგმა შემდეგი ინტერვენციები:

- ღრმად და საფუძვლიანად გავცნობოდი დამოუკიდებლად სწავლების მნიშვნელობას.
- ღრმად და საფუძვლიანად გავცნობოდი ე.ს.გ-ის სტარდანტებსა და ინდიკატორებს, მომერგო მათზე აქტივობები,რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეებს გამოუმუშავოს დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები.
- დავგეგმო გაკვეთილები იმ აქტივობის გამოყენებით,რომელშიც ადგილი ექნება დათმობილი არჩევით დავალებებს, აზროვნების პროცესის რეფლექსიას, სასწავლო პროცესში თვითრეალიზებას.
- კვლევის შედეგების კოლეგებთან გაზიარება.

აღნიშნული ინტერვენციების შემუშავება დამეხმარა პროფესიულ განვითარებაში კოლეგებისრეკონემდაციით,დავგეგმე გაკვეთილები იმ აქტივობების გამოყენებით,რომელიც მოსწავლეებს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად მუშაობისუნარ-ჩვევებს. დამოუკიდებლად სწავლების სტრატეგიამ დამანახა,რომ გაკვეთილზემ ოსწავლეებმა უკეთ აითვისეს მასალა,აქტიურად იყვნენ ჩართულები საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლეებს დაეხმარა ახსნილი მასალის უკეთგაა-ზრებაში. ხელი შეუწყო მოსწავლეებში კოგნიტური და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ამ აქტივობით გაიზარდა მოსწავლეებში ინტერესი - შინაგანი მოტივაცია. ეს ყველაფერი დაეხმარა მოსწავლეებს გასულიყვნენ უკეთეს სასწავლო

შედეგზე. გამოეტანათ დასკვნები დამოუკიდებლად,ამ სტრატეგიის გამოყენებისას მაქსიმალურად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები,და რაც მთავარია ისინი გამოიმუშავებენ დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევებს. მივიღე მშობლებიდან უკუკავშირი ჩატარებილი აქტივობების განხორციელების შედეგად. აღნიშნეს,რომ მოსწავლეებს დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად უჭირდათ დავალებების შესრულება.

აღნიშნული მეთოდის მიზანია შექმნას ისეთი სასწავლო პროცესი, სადაც მასწავლებელი გზამკვლევის როლს ასრულებს და დავალებების შესრულებისთვის იყენებს ინსტრუქციულ ტექნიკას; პატივს სცემს მოსწავლეთა აზრს და რთავს მათმი ზნების დასახვისა და აქტივობების და გეგმვის პროცესში; საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები; ქმნის კრიტიკული დაშემოქმედებითი აზროვნებისთვის ხელსაყრელ გარემოს, თავისთავად ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნების უნარების განვითარებასა და მოსწავლეთა მიერ მეტი პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ სწავლაზე.
აღნიშნულმა მეთოდმა მოსწავლეებს განუვითარა ისეთი უნარ-ჩვევები, როგორიცაა დამოუკიდებლობა, შემოქმედებითობა, დაკვირვება, შედარება,კლასიფიკაცია, ინტერპრეტაცია, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება და რაც მთავარია მოსწავლეებს გამოუმუშავდათ დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები. მოსწავლები დაეუფლნენ დამოუკიდებლად სწავლის ტექნიკას.

მომავალში მოსწავლეებში აღნიშნული უნარების განვითარებისა და ჩამოყალიბებისთვის კიდევ ბევრი და საჭირო აქტივობების დაგეგმვას ვაპირებ,რომ მოსწავლეებმა მიაღწიონ ე.ს.გ. მიზნებს.

პედაგოგებსა და კოლეგებს აღნიშნული საკითხის კვლევა ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში, იმ ხერხების, მეთოდებისა და აქტიბობების დაგეგმვაში, რომელიც მოიცავს

დამოუკიდებლად სწავლის ტექნიკის ფლობას,რომელიც შემდგომ ეტაპზე თავის მხრივხელს შეუწყობს მოსწავლის კოგნიტური, მეტაკოგნიტური და აფექტური უნარების განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თვითრელიზებას. ეს კი ,თავის მხრივ, დაეხმარება კოლეგებს პროფეესიულ განვითარებაში, რათა აქტივობები მოარგოს მოსწავლეებს, მათ საჭიროებებს და დანერგოს საკუთარ პრაქტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.დამოუკიდებელი სწავლის უნარები და მათი განვითარება

29 ნოემბერი, 2013 თეოჭყოიძე

2.დამოუკიდებლად სწავლის უნარები.გარემოებათა ანალიზი

30 ივლისი, 2014 თეონეფარიძე

3.www.mastsavlebeli.geინტერნეტგაზეთი

4. ეროვნული სასწავლო გეგმა, ახალი რედაქცია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ასევე ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წწ.

კვლევის რეფლექსია

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალას საჯარო სკოლაში 2017-2018 სასწავლო წელს ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: „მოსწავლეებში დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარების ხელისშემშლელი მიზეზების დადგენა და გადაჭრის გზების ძიება.

კვლევის მიზანი იყო დამედგინა ქართულის, როგორც მეორე ენის დამოუკიდებლად სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზები.

გადავწყვიტე ჩემი კვლევა გამეცნო კოლეგებისთვის, რადგან ჩავთვალე ,რომ მიღებული შედეგები დადებითი იყო და კვლევაში განხორციელებული ინტერვენციების შესახებ ინფორმაციის მიღება ყველა მასწავლებლისთვის საინტერსო იქნებოდა. ჩემი კოლეგების უმეტეს ნაწილს გადავუგზავნე ელექტრონულად კვლევის ანგარიში და ასევე კვლევის ანგარიშის შესახებ პრეზენტაცია.

ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგებისთვის განსაკუთრების საინტერესო აღმოჩნდა კვლევის შედეგები. აღნიშნეს ,რომ დამოუკიდებლად სწავლა მოსწავლეებს უჭით არა მარტო ქართულ ენაში, არამედ იმ საგნებშიც ,რომლებსაც მშობლიურ ენაზე (აზერბაიჯანულ ენაზე) სწავლობენ. გამოითქვა აზრი, რომ კარგი იქნებოდა კვლევა ჩატარებულიყო კომპლექსურად,როგორც საბაზო ასევე საშუალო საფეხურზე.თუ შედეგები ცნობილი იქნებოდა სასწავლო წლის დასრულებამდე გარკვეული ხნით ადრე , შეძლებდნენ მის გათვალისწინებას.

მომავალი სასწავლო წლიდან ჩემი კოლეგები გეგმავენ გამოიყენონ და გაითვალისწინონ კვლევის შედეგები.